# კონკურსი: საუკეთესო სათემო ინიციატივა

## საკონკურსო წინადადებების რეზიუმე:

### 1. ციფრული სივრცე - მეტი შესაძლებლობა - ასკანის საინიციატივო ჯგუფი, გურია

პანდემიამ კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, ჰქონდეთ ტექნოლოგიებზე წვდომა და განივითარონ ციფრული უნარები. მიუხედავად ციფრული განვითარების დიდი მნიშვნელობისა, გურიაში, სოფელ ასკანის საჯარო სკოლას, არ გააჩნდა ტექნოლოგიური რესურსი, რაც თავისთავად სკოლის მოსწავლეებში ციფრული განათლების ნაკლებობას იწვევდა.

პანდემიის პერიოდში, ამავე სკოლის მოსწავლემ თაზო ჯოჯუამ, „ორბელიანი მეტის“ სახალხო დაფინანსების პლატფორმის გამოყენებით დაიწყო კამპანია, რომლის მეშვეობითაც მოახერხა და მოიპოვა როგორც სახალხო დაფინანსება, ასევე მხარდაჭერა ბიზნეს სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. პროექტის დახმარებით ასკანის საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ხელი მიუწვდებათ თანამედროვე ციფრულ რესურსებზე.

გარდა ამისა პროექტის შედეგად შეიქმნა მოხალისეთა კლუბი, რომელშიც ახალგაზრდები საერთო მიზნით გაერთიანდნენ - შეემსუბუქებინათ პანდემიური ყოფა თემისა და სკოლის მოსწავლეებისათვის. საინიციატივო ჯგუფი ასკანაში მნიშვნელოვანი სათემო ინიციატივების განმახორციელებელი გახდა. პროექტმა ხელი შეუწყო მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერებას, შედეგად პროექტის სამიზნე ინდივიდებსა და ჯგუფებს სათემო ცვლილებების სურვილი გაუჩნდათ.
‘ციფრული სივრცე’, როგორც საინიციატივო ჯგუფი განაგრძობს აქტიურ მუშაობას და მუდმივად ცდილობს თემის მოსახლეობის მხარდაჭერასა და ეკონომიკური თვალსაზრისით გაძლიერებას.

### 2. NTI თქვენს სახლში - ახალი აზროვნების ინსტიტუტი, ქვემო ქართლი

პროექტზე ფიქრი ჯგუფმა მაშინ დაიწყო, როდესაც პანდემით შექმნილი მდგომარეობის გამო სკოლის მოსწავლეები ისეთი პრობლემების წინაშე დადგნენ, როგორიცაა კარჩაკეტილობა, სწავლისადმი მოტივაციის დაქვეითება, სტრესი და ა.შ.

იდეის ავტორმა ორგანიზაციამ მოსწავლეთა საჭიროებების გამოსავლენად ჩაატარა სატელეფონო კვლევა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებს სახლიდან გაუსვლელად სჭირდებოდათ სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა.

ასევე, კვლევის შედაგად აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებს თავადვე ჰქონდათ რამდენიმე იდეა, რომლითაც შეძლებდნენ სტრესის დაძლევას და ამავდროულად განივითარებდნენ შემოქმედებით უნარებს. ორგანიზაციამ პროექტის განხორციელება პარტნიორთან ‘საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან“ (GIPA) თანამშრომლობით შეძლო. ორგანიზაციის ახალგაზრდებმა კარგად იციან ვიდეოს გადაღება, დამონტაჟება და სტატიების წერა.

მოსწავლეებისა და ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით შეიქმნა კამპანია "NTI თქვენს სახლში", რომლის მიზანი იყო ბავშვების ნახატების მიხედვით შექმნილი ილუსტრაციების გაცოცხლება, გახმოვანება და დამონტაჟება. ორგანიზაციის მოხალისე ახალგაზრდების მიერ გახმოვანდა და შეიქმნა ილუსტრაციები: ქართული ხალხური ზღაპრები აზერბაიჯანულ ენაზე, აზერბაიჯანული ხალხური ზღაპრები კი ქართულ ენაზე.

პროექტმა ქართველებისა და აზერბაიჯანელი მოსწავლეების ინტეგრაციასაც შეუწყო ხელი. ქართველი ახალგაზრდები გაეცნენ აზერბაიჯანულ ხალხურ ზღაპრებს, ხოლო აზერბაიჯანელი ახალგაზრდები ქართულ ხალხურ ზღაპრებს. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მცირე ჯგუფში დაწყებულმა კამპანიამ, ძალიან მალე დააინტერესა სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები, რომლებიც შეუერთდნენ გუნდს და მათთან ერთად დაიწყეს მუშაობა. იქედან გამომდინარე, რომ შექმნილი ზღაპრები ყველასათვის ხელმისაწვდომია, მასწავლებლები აქტიურად იყენებენ მათ სასწავლო პროცესშიც.

## 3. მიუსაფარ ცხოველებზე ზრუნვა - წეროვანის საინიციატივო ჯგუფი, მცხეთა-მთიანეთი

წეროვნის დევნილთა დასახლება საქართველოს ცენტრალური მაგისტრალის გვერდით მდებარეობს და იმ ძაღლების თავშესაფრად არის ქცეული, რომელთაც პატრონები თავიდან იშორებენ. შესაბამისად, დასახლებაში მიუსაფარ ძაღლთა რიცხვი წლიდან წლამდე იმატებს და პრობლემაც დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მწვავდება. ძაღლების უკონტროლო გამრავლება, გადამდები დაავადებები, ანტისანიტარია, ადამიანების მხრიდან სასტიკი მოპყრობა - იმ პრობლემების არასრული სიაა რის წინაშეც წეროვნის დევნილთა დასახლების ძაღლები ყოველდღიურად დგანან. წეროვნის საინიციატივო ჯგუფმა სწორედ ამ პრობლემასთან ბრძოლა გადაწყვიტა და ამ ყველაფრის სათავე სწორედ ოთხფეხა მეგობრების დიდი სიყვარული იყო.

მათ მოახერხეს და მოახდინეს 40 მიუსაფარი ძაღლის სტერილიზაცია-კასტრაცია, რის შედეგადაც წეროვნის დევნილთა დასახლებაში მიმდინარე წელს მიუსაფარი ცხოველების რაოდენობა 400 ძაღლით შემცირდა (ყოველწლიურად ერთი ძაღლი საშუალოდ 10 ლეკვს აჩენს). წეროვნის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა ტკიპზე-ტილზე დაამუშავეს 40 მიუსაფარი ძაღლი. იმისათვის, რომ ძაღლებს საკვები არ მოჰკლეობდათ დაამონტაჟეს ძაღლთა საკვები პუნქტები, რომელშიც მუდმივად ათავსებენ საკვებს. ამასთანავე, საზოგადოებაში ცხოველთა პრობლემების მიმართ ემპათიური დამოკიდებულების გასაჩენად მოაწყვეს ღია კინოჩვენებები, დაარიგეს საინფორმაციო ბროშურები, გაავრცელეს ინფორმაცია სტერილიზაცია-კასტრაციის სარგებლიანობის და მიუსაფარი ცხოველების პრობლემების მოგვარების ალტერნატიული გზების შესახებ. ამასთანავე, ადვოკატირების კამპანიის შედეგად ახალგორის იძულებით გადაადგილებულმა მუნიციპალიტეტმა გამოყო 2000 ლარი, რომელიც მიუსაფარი ძაღლების კასტრაცია-სტერილიზაციასა და აცრებს მოხმარდა.

## 4. მთის ბავშვებისთვის - რაჭის სათემო ორგანიზაცია, რაჭა-ლეჩხუმი

რაჭა, სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობით, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა საქართველოში. ხშირად, თუ ოჯახში ორი ან მეტი მცირეწლოვანი ბავშვი ცხოვრობს, მათ მშობლებს არ აქვთ შესაძლებლობა ბავშვები საჩუქრებით გაანებივრონ. საახალწლოდ, როცა დედაქალაქში საჩუქრების ცვენაა, მთაში მცხოვრები ბავშვების მშობლებს საჩუქრების შეძენის საშუალება არ აქვთ. სწორედ ამ ფაქტორებმა გადააწყვეტინა რაჭის საინიციატივო ჯგუფს დაეწყოთ კამპანია ბავშვებისთვის.

ჯგუფმა მოახერხა და პირველ წელს 20-ზე მეტი მხარდამჭერი მოიპოვა და ამავე რაოდენობის ბავშვებისთვის საჩუქრები დაარიგა. მეორე წელს, 60-მდე მსურველი მოიძიეს და მათი დახმარებით ბავშვები დაასაჩუქრეს (მათ შორის რამდენიმე საზღვრისპირა სოფლებიდან).

კამპანიის წარმატება იმაშიც გამოიხატება, რომ ჯგუფმა მოახერხა და შემოიკრიბა მუდმივი პარტნიორები, რომლებიც ყოველწლიურად დაუჭერენ ბავშვებს მხარს.

ჯგუფს სამომავლო გეგმებიც აქვთ, აპირებენ ადგილობრივ ბიზნესს და გამომცემლებს შესთავაზონ პარტნიორობა; ასევე, შემოიკრიბონ ცაგერის მოსახლეობა და კამპანია იქაც ჩატარონ.

## 5. ერთად ბედიანის ახალგაზრდებისთვის - ბედიანის მეკლდეურთა კლუბი, ქვემო ქართლი

დაბა ბედიანში საბჭოთა კავშირის დროს დაარსდა დიდი ფსიქიატრიული საავადმყოფო, სადაც იმ დროისათვის 700 პაციენტი ჰყავდათ. სწორედ მაშინ დაიწყო ბედიანში მოსახლეობის ჩამოსახლება.

პატარა დაბაში იმ დროისთვის იყო უამრავი საჯარო სივრცე ფუნქციონირებდა: სკოლა, სპორტ-დარბაზი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, საბავშვო ბაღი, მაღაზია, სასტუმრო, კლუბი და ა.შ. სამწუხაროდ იგივეს ახლანდელ ბედიანზე ვერ ვიტყვით, რომელშიც მხოლოდ და მხოლოდ საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. პროექტის იდეაც მაშინ გაჩნდა, როდესაც მისმა ავტორმა, საკუთარ ეზოში, ბავშვების გასართობად, საცოცი კედელი გააკეთა. კედელმა დაბის მაცხოვრებ ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია და იდეა ფონდ “ორბელიანი მეტის” პლატფორმაზეც განათავსეს. სწორედ „ქრაუდფანდინგის“ კამპანიის დახმარებით, შეძლეს და ერთად მოიპოვეს გამგეობისგან ფართი, რომლისთვისაც საცოცი კედლის ყველა საჭირო ინვენტარი შეიძინეს და თავადვე კეთილმოაწყვეს.

დღეს კლუბი წარმატებით ფუნქციონირებს და მის წევრ ახალგაზრდებს სისტემატურად უტარდებათ ვარჯიშები და ისინი აქტიურად იღებენ მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით ჩატარებულ შეჯიბრებებში. კლუბს ჰყავს როგორც პრიზიორები, ასევე საქართველოს ჩემპიონი.

კლუბის წევრებმა ასევე მოახერხეს და სოფლის პროგრამის ფარგლებში 10,000 ლარის დაფინანსება მოიპოვეს, რომელიც ახალი საცოცი კედლის მოწყობას მოხმარდება.

## 6. სოფლის მაშენებელი ქალები - ჯგუფი დიმელი ქალები, იმერეთი

პანდემიის დროს საინიციატივო ჯგუფის წევრები მშობლიურ სოფელს, დიმს დაუბრუნდნენ. თავდაპირველად მიზანი სახლის რესტავრაცია და მისი აგრო ტურისტულ ობიექტად ქცევა იყო. რომელიც რამდენიმე მეზობელს დასაქმების საშუალებას და პროდუქტის რეალიზაციის საშუალებას მისცემდა.

თუმცა ერთ დღეს ჯგუფის ერთ ერთ ლიდერს - ლილის, ახლობელ ოჯახში სტუმრობისას, ოჯახის რძალმა უთხრა, რომ საკუთარი შვილების განათლებისთვის მასაც, დედის მსგავსად ემიგრაციაში წასვლა მოუწევდა. სწორედ ეს გახდა გარდამტეხი მომენტი და მიზეზი 2021 წელს, სოფელში დაბრუნებული სამი ქალის მიერ, „დიმელი ქალების“ ჯგუფის შექმნისა. ჯგუფის პირველი ინიციატივა ბაღდათის ბიბლიოთეკაში UNFPA-სთან ერთად თანასწორობის კუთხის გახსნა იყო, რათა არაფორმალური განათლების გარეშე დარჩენილ ქალებს და მოზარდებს თანამედროვე ლიტერატურის წაკითხვის საშუალება ჰქონოდათ და სადაც ქალების როლი და თანასწორი გარემოსთვის ბრძოლა ერთ-ერთი წამყვანი ხაზი გახდებოდა. მიხედეს სოფლის ბიბლიოთეკასაც და ფართოდ გააღეს მისი კარი, რომლის არსებობის შესახებ მანამდე სოფლის მხოლოდ ნაწილმა იცოდა. ახლა იქ შეხვედრები და საგანმანათლებლო აქტივობები ტარდება, შეხვედრები წარმატებულ ბიზნეს ქალებთან, ადგილობრივი მოსახლეობისთვის, აქცენტით ქალებზე კი, სოციალური მედიის და ონლაინ პლატფორმების შესწავლა, რაც დასაქმებაში და თავიანთი ნაწარმის გაყიდვაში დაეხმარებათ. ჯგუფის საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩა და უკვე სხვა სოფლებიდან, სხვა საინიციატივო ჯგუფებიდანაც უკავშირდებიან, რომ დიმელების მაგალითზე ისწავლონ. რამდენიმე კომპანიამ გამოთქვა სურვილი, სოფელში სკვერის თუ მედიათეკის მოწყობაში ფინანსურად დაეხმარონ სათემო ჯგუფს. მუშაობა გრძელდება და გაგრძელდება, სანამ სოფელი არ აშენდება, ქალებს და ბავშვებს კი დიმში ღირსეული ცხოვრების გარანტია არ ექნებათ.